ევროკავშირი საქართველოსთვის

საქართველოს სახალხო დამცველი

unicef for every child

თუ ფიქრობ, რომ შენი უფლებები ირღვევა, ან გინდა, მეტი გაიგო შენი უფლებების შესახებ, შეგძილია დარეკო ამ ნომრებზე:

ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზი	მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურება	იურიდიული დახმარების სამსახური (ადვოკატი)	საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცხელი ხაზი (პოლიცია, სასწრაფო სამედიცინო დახმარება, სახანძრო)
111	08 08 00 00 00 88	1485	112

ასევე, გახსოვდეს, რომ ყოველთვის შეგიძლია, მიმართო **საქართველოს სახალხო დამცველს.**

სახალხო დამცველი არის ადამიანი, რომელიც აფასებს, დაცულია თუ არა ქვეყანაში ადამიანის, მათ შორის, ბავშვების უფლებები. ამისთვის სახალხო დამცველი ხვდება ბავშვებს, მშობლებს, ყველა იმ ადამიანს, ვინც ბავშვებთან მუშაობს. ის დადის ყველგან, სადაც ბავშვები არიან. მაგალითად, სკოლებში, ბაღებში.

თუ ბავშვი ფიქრობს, რომ მისი უფლებები დაირღვა, შეუძლია, ამის შესახებ უთხრას სახალხო დამცველს. სახალხო დამცველი შეისწავლის, დაირღვა თუ არა ბავშვის უფლებები და თუ დაადგენს, რომ ბავშვის უფლებები ნამდვილად დაარღვიეს, იტყვის, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რათა ბავშვი დაცული იყოს, მან უკეთ იგრძნოს თავი და ასეთი შემთხვევა აღარ განმეორდეს.

თუ ფიქრობ, რომ შენი ან სხვა ბავშვის უფლებები ირღვევა, ან გინდა, მეტი ინფორმაცია გქონდეს შენი უფლებების შესახებ, მიმართე სახალხო დამცველს.

როცა სახალხო დამცველს მიმართავ, უფლება გაქვს, მოითხოვო ანონიმურობა.

ეს იმას ნიშნავს, რომ შეგიძლია, სახალხო დამცველს უამბო, რა მოხდა, მაგრამ არ უთხრა, ვინ ხარ. ასევე, შეგიძლია, გაუზიარო, ვინ ხარ, თუმცა, სთხოვო, რომ როცა ამ ამბავს შეისწავლის, არავის უთხრას, რომ შენ მიმართე.

სახალხო დამცველისთვის მიმართვის გზებია:

1. **დარეკე ნომერზე: 1481**
2. **მისწერე ფეისბუკის მესენჯერში:** OmbudsmanofGeorgia
3. **მისწერე ელ. ფოსტით ამ მისამართზე:** info@pdo.ge
4. **გაუგზავნე წერილი ფოსტით მისამართზე**
5. **მიდი მისამართზე**

სახალხო დამცველს აქვს ოფისები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში

მისამართების ნახვა შეგიძლია ვებგვერდზე - https://ombudsman.ge/geo/kontaqti

შეიქმნა სახალხო დამცველის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სახალხო დამცველი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ბავშვის უფლებებზე მომზადებული ყველა მასალა შეგიძლია ნახო აქ